



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი, კოსტავას ქ.№1

8 აგვისტო 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №238

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის, მობილიზაციისა და სამოქალაქო თავდაცვის სამსახურში გამწვევი კომისიის შექმნის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად:

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევისათვის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის, მობილიზაციისა და სამოქალაქო თავდაცვის სამსახურში შეიქმნას გამწვევი კომისია.

1. გამწვევი კომისიის შემადგენლობა განისაზღვროს:

ა) ავთანდილ სურგულაძე - კომისიის თავმჯდომარე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

ბ) ილია ლეჟავა - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის, მობილიზაციისა და სამოქალაქო თავდაცვის სამსახურის უფროსი;

გ) კომისიის წევრები:

გ.ა) კახა კილაძე - საქართველო შ.ს.ს. გურიის მთავარი სამმართველოს ოზურგეთის რაიონული პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე;

გ.ბ) ნანა ნაცვალაძე - ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი სპეციალისტი;

გ.გ) ნათია ვაშალომიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის უფროსი;

გ.დ) დავით არობელიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მთავარი სპეციალისტი ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებში;

დ) ციალა სირაძე - კომისიის მდივანი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის, მობილიზაციისა და სამოქალაქო თავდაცვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

მუხლი 2. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის, მობილიზაციისა და სამოქალაქო თავდაცვის სამსახურში გამწვევი კომისიის

შექმნისა შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 1 თებერვლის №28 ბრძანება.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ავთანდილ სურგულაძე